

## შრომის ფსალმუნი

მოწყენილია შენი ბაღი, - ეს ჩემი გული,  
ვით მწუხრი დედა პირმშო შვილზე  
ატირებული,  
სევდამ დაჩრდილა სიჭაბუკე გაბრწყინვებული,  
ჭმუნვამ დაკოდა აღმამფრენი სული შვეებული  
და გრძნობის ჩანგზე კვნესს, ქვითინებს  
სიკვდილის  
წყლული.

მოწყენილია შენი ბაღი, - ეს ჩემი გული!

შენ იყავ მაღლი ცის ემბაზით  
გადმოფრქვეული,  
შენს გარეშემო გაზაფხული იფურჩქნებოდა,  
მე შენ გეტრფოდი, შენი ხილვა მენატრებოდა  
და რა ვიცოდი უნუგემოთ თუ დასჭკნებოდა  
მშვენიერების სახე ნაზი, სახე გრძნეული?  
შენ იყავ მაღლი ცის ემბაზით  
გადმოფრქვეული!

ას, სად ხარ, სადა, სად მიგაფრენს ეს სისხლის  
ნავი,  
უფსკრულის გზითა, ცეცხლის აღზე სანამ  
ვიარო?  
ჩემი ოცნების, სიცოცხლისა თანაზიარო,  
სად მოვისვენო, ნეტარებით სად ვეზიარო?

საფლავთა შორის განწირულმა სად დავდო  
თავი?  
ას, სად ხარ, სადა, სად მიგაფრენს ეს სისხლის  
ნავი?

ვარსკვლავებს ჰკითხე, შენ გარშემო რომ  
დასცურავენ,  
როგორ ჩამოჰკნა შენი ბაღი, - ეს ჩემი გული,  
როგორ ინთქება, იღუპება ქვეყანა სრული  
და, უღვთო ხვედრით დაცემული და  
განწირული,  
შენი მსახურნი რა ცრემლსა და ნალველს  
სწურავენ.  
ვარსკვლავებს ჰკითხე, შენს გარშემო რომ  
დასცურავენ!

რა ვქნა, რა გიყო? სად გეძიო გულის-უფალო?  
რომელ ზღვის გულში, რომელ ქვეყნის ტურფა  
მხარეში?  
აქ ისე ვცხოვრობთ, ისე ვდნებით, ვით  
სამარეში,  
მონის ხუნდებით, გაჭირვება-სიმწუხარეში  
და მარად გვდევენის ბედი შავი, ბედი უწყალო.  
რა ვქნა, რა გიყო? სად გეძიო გულის-უფალო?